საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# სოციალისტ-ფედერალისტი

პარასკევი აპრილის 1
1921 წ.
№ 27
ფასი 50 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამოუკიდებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

მიიღება ხელის მოწერა
„სოციალისტ-
ფედერალისტზე“
სახლში მიტანით გაზეთი ღირს თვეში 1500 მან.

თავზარ დაცემული და გულ დათუთქული მშობელი დედა და და მარიამ კემულარია თხოვს ნათესავთ, და ნაცნობებს და მის მეგობრებს რათა მობრძანდნენ და ინახულონ უკანასკნელად გამოთხოვებისას თებერვლის 24 ომში განგმირული გმირი 1 ათასეულის ოფიცერი

ბესო ვასილის ძე კემულარია

პანაშვიდი დანიშნულია ყოველ დღე ნაშუადღევის 5-ზე პეტრე-პავლეს ეკლესიაში დაკრძალვა მოხდება კვირას აპრილის 3 ნაშუად. 2 საათზე. 697.

მარტის 29-ს ბრძოლის ველზე მიღებულ ჭრილობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი იუნკერი

ილიკო ივანეს ძე ჯანდიერი

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ ნაცნობთ და მეგობართ მამა ივანე ალექსანდრეს ძე ჯანდიერი დედა თამარ გიორგის ასული ჯანდიერისა ძმები: გიორგი მეუღლით ანასტასია დავითის ასული, შვილი—ვახტანგ, ნიკოლოზ, იასონ, კოტე, დები: თინათინა, გენო, ნინო, ლიზა და მარიამ ჯანდიერები, სიძეები: ევგენი მენშიკოვი და დიმიტრი მიხეილის ძე ჭიჭინაძე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 700

პარასკევს აპრილის 1-ს საღამოს 6 საათზე
საქართვ. მასწ. კლუბის დარბაზში

ფარმაცევტთა მუშა-მოსამსახურეთა

სოციალის ტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ორგანიზაცია იწვევს

მუშა-მოსამსახურეთა კრებას

რომელზედაც მოხსენებას გააკეთებენ ამხანაგები:

პროფ. შალვა ნუცუბიძე

თანამედროვე მდგომარეობის შესახებ. ასეთივე კრებას მართავს სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა სოც.-ფედერალისტთა ორგანიზაცია კვირას, აპრილის 3-ს დილის 11 საათზე ქართული დრამის (არტისტიული) თეატრში, მომხსენებელნი არიან

ამხ. პროფ. შალვა ნუცუბიძე და თედო ღლონტი.

ასეთივე კრებას მართავს არსენალში მომუშავეთა სოც.-ფედ. ორგანიზაცია შაბათს აპრილის 2 საღამოს 6 საათზე არსენალის კლუბში.

კვირას, აპრილის 3-ს დილის 11 საათზე დანიშნულია

ქართულ სამუსიკო საზოგადოების

კრება

პეტრე დიდის ქ. 8.

დღიური წესრიგი: 1. დღევანდელი მომენტი და მუსიკალური საზოგადოება
2. საზოგადოების გამგეობის მოხსენება,
3. მუსიკალური კოლეგიის მოხსენება. 8

ქალაქის უ. თვითმმართველობის დარბაზში
კვირას, აპრილის 3-ს, დილის 11 საათზე
შესდგება

დამოუკიდებელი სოც.-დემოკრატების
და
(„სხიველების“)
თანამგრძნობთა საზოგადო კრება

გაირჩევა შემდეგი საკითხები: ა) მოხსენება მომენტზე,
ბ) გაზ. „ახალი სხივი“,
გ) საორგანიზაციო კომიტეტის არჩევა.
„ახალი სხივის“ სარედაქციო კოლეგია. 698

## გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტი“-ს

კანტორა სთხოვს ყველა დაწესებულებებს, რომ გაზეთისთვის მიმმართონ პირდაპირ კანტორას, რადგანაც ექსპედიციაში გაიგზავნება მხოლოდ კიდლებზე გასაკრავი ნომრები.

## ფურცლები

ბ.

ეროვნული საკითხი, როგორც უმთავრესი ძალა რუსეთის რევოლუციის.

საზოგადოებრივ აზროვნებას, ეგრედ წოდებულ იდეოლოგიას, ის ტენდენცია საზღრავს, რომელიც ეკონომიური ინტერესებიდან გამომდინარეობს. ინტელექტუალური ვოლიუნტარიზმი შესაძლოა ფართოდ გაიშალოს იდეოლოგიურ სპეკულიაციის პროცესში, მაგრამ ყოველი მომენტი დიდი სოციალური საკითხების გაშუქებაში, მთავარი ფაქტორი პოლიტიკის შემუშავებაში უეჭველად უფრო პროზაულ მოსაზრებებს ემყარება მატერიალიზმის სფეროდან, ვიდრე განყენებულ მორალურ და ფსიხიურ ემოციათა კომბინაციას.

სწორედ ეს მატერიალური ინტერესები იყო მასაზრდოებელი მენშევიკური მეშჩანურ სოციალიზმისა, რომელიც რუსეთის რევოლუციას და საქართველოში მომხდარ პოლიტიკო-ეკონომიურ ცვლილებას ახასიათებდა, როგორც დასასრულს რევოლუციის შემოქმედებისას, როგორც იმ დროების დასაწყისს, საიდანაც რევოლუციის პროცესი უნდა შეცვალოს რეფორმიზმმა. ჟორდანია-კაუცკის მთელი იდეოლოგია ჩვენში ამიტომ არსებითად ანტი-რევოლუციური იყო, რეფორმისტული და რასაკვირველია ის ვერ გაიგებდა იმ ზრახვებსაც, იმ მთავარ მოტივებსაც, რომელიც წითელ ხაზს შეადგენს რუსეთის რევოლუციის.

მკითხველ მასსას ძალიან ხშირად მოუკრავს ყური იმ გარემოებისათვის, რომ ბოლშევიკები დიდ ყურადღებას აქცევენ გარეშე ქვეყნებს და განსაკუთრებით აღმოსავლეთს. აიღეთ თქვენ სრულიად ჩვეულებრივი წითელი არმიელი რომლის გოროსკოპი გაჟღენთილია ათასგვარი პოლიტიკური მარტივი ფრაზეოლოგიით და თქვენ გაიგონებთ მათგან ინდოეთს, ავღანს, ჩინეთს, უფრო ახლოს ქვეყნებს ხომ კიდევ უფრო.

მე ვფიქრობ, რომ ამ გეოგრაფიულ ტერმინების ბრუნვისას მას სათანადო წარმოდგენა არ აქვს ამ მოვლენის ძირითად შინაარსზე, მაგრამ ჩვენ სწორედ ეს შინაარსი გვაინტერესებს აქ გადავშალოთ, ვინაიდან ამ შინაარსის შესწავლა ჩვენ გვაძლევს მეტად საპასუხისმგებლო ნაციონალურ პოლიტიკურ შემოქმედებას, რაიცა მრავალ პატარა და დაჩაგრულ ერს აკავშირებს რუსეთის რევოლუციას თუ—რასაკვირველია—რუსეთის რევოლუციის ყველა ძალისათვის საკმაოდ ცხადი და საცნაური, რევოლუციის მიერ წამოყენებული შინაარსი ნაციონალური პრობლემისა.

ერთი უმთავრესი მიზეზი ძველად არსებულ რევოლუციების კატასტროფისა ის კი არ იყო, რომ ამა თუ იმ ქვეყნის რევოლუციაში რომელიმე მირაბოს, დანტონს, მარატს ან რობესპიერს აკლდა რევოლუციური გატაცება, მპერმეტყველება ან სოციალისტური რადიკალიზმი. დანტონი, მარატი და ბაბეფი ჩვენ გვიმტკიცებენ, რომ ძველს რევოლუციაში დიქტატურის ენერგიაც იყო და სოციალიზმის აქტიობაც. ეს სოციალურ-აქტუალური ფაქტორები რევოლუციისა საკმაოდ ქონდა 1848 წლის რევოლუციასაც, პარიზის კომუნასაც, რუსეთის 1905 წლის რევოლუციასაც.

მსოფლიოს ყველა დიდი და პატარა ძველი რევოლუციები დამარცხებით თავდება. მართალია ინგრევა ძველი წყობილების ნაშენები, ინგრევიან ტახტები, მაგრამ რევოლუციურ ბრძოლის ნაყოფი სრულიად არ შეეფერება იმ აქტუალურ ენერგიის მაქსიმუმს, რომელიც მჟღავნდება ხოლმე რევოლუციის მესვეურთა შემოქმედებით რევოლუციის პროცესში.

რევოლუციების კატასტროფა შეუძლებელია მხოლოდ მოუმწიფებელ ეკონომიურ ნომენკლატურას მოვაწეროთ. ასე რომ იყოს რუსეთის თანამედროვე რევოლუციას ჩვენ უნდა შევხედოთ უკიდურესი პესიმიზმის თვალსაზრისით და ისტორიულ პერსპექტივებში დავსახოთ საშინელი რეაქცია ტრეპოვის, სტოლიპინის, გორემიკინის. მაგრამ რევოლუციის გამარჯვებას ის გარემოება კი არ ხსნის, რომ ეკონომიკა მწიფე ან უმწიფარია, არამედ ის აქტუალური მიზნებიც, ის სოციალური ინსტინქტები, რომელნიც რევოლუციის ძალებს უნერგავს ძვალსა-რბილში რევოლუციის სარგებლობას და გამოჰყავს იგი რევოლუციის ასპარეზზე.

ამ გვარად ეკონომიური ნომენკლატურა და აქტუალური იდეოლოგია, ამ ორი უმთავრეს ფაქტორთა სინთეზისი ქმნიან იმ მძლავრს პირობას, რომელიც რევოლუციის მოვლენას სახავს, როგორც ქარიშხალს, ყველა ძალა რომ უნდა დაემორჩილოს.

— ეს სინთეზისი არ იყო ძველს რევოლუციებში. ეს სინთეზისი არის რუსეთის რევოლუციაში.

რაში იხატება ეს ახალი მოტივი რუსეთის რევოლუციის?

ძველი რევოლუციების უმთავრესი წყარო შემოქმედებისა გამოდიოდა კლასთა ბრძოლის იდეოლოგიიდან. პროლეტარიატი და წვრილ ბურჟუაზიული მასსა წარმოადგენდა რევოლუციის კომპაქტურ ძალას, ხოლო ძველი რევოლუციების ჰორიზონტი, საერთო მასშტაბი საკუთარ სახელმწიფოებრივ ზღუდეებით ისაზღვრებოდა და ყოველთვის შეეძლო რომელიმე მეზობელ რეაქციონურ სახელმწიფოს გათავხედებული რევოლუციის სარეცელზე აღემართა მეტერნიხის და ტალეირანის „საღვთო კავშირი“.

რევოლუციური იმპერიალიზმი, რევოლუციური ინტერვენცია, ან ჩვეულებრივის ტერმინოლოგიით რომ ვსთქვათ—საერთაშორისო რევოლუციის პოლიტიკის წარმოება—არ იყო მიჩნეული, როგორც აუცილებელი და მთავარი პოლიტიკა ნაციონალურ ფარგალში გაჩაღებული რევოლუციის გამარჯვებისთვის და რაც კიდევ უფრო მთავარია რევოლუციების ძალა სრულიად არ უწევდა ანგარიშს ნაციონალურ ინტერესებს საზოგადოდ, არ ისახავდა ნაციონალურ პრობლემის გადაჭრას, ნაციების ამოძრავებას, როგორც აუცილებელს და მთავარ მომენტს რევოლუციის სასურველად დაგვირგვინებისათვის.

რა არის სოციალური რევოლუციის მთავარი მიზანი?—პასუხი ყველასთვის ტრაფარეტიულია: კაპიტალიზმის დამხობა. მაგრამ კაპიტალიზმის დამხობის იდეა მეცნიერულის სისწორით უნდა სახავდეს იმ სოციალურ ფერმენტებს, რომელსაც ეყრდნობა კაპიტალიზმი.

ჩვენ ეხლა მაინც უნდა საბოლოოდ შემუშავებული გვქონდეს ამ საკითხზე დამთავრებული აზრი. კაპიტალიზმი ემყარება—პროლეტარიატის ექსპლოტაციას—ამბობენ ჩვეულებრივი ტვინის სოციოლოგები. ეს მართალია, მაგრამ მარტივ ორტოდოქსალურ მარქსიზმის ეს სოციალური ფორმულირება დღეს მაინც უნდა შეივსოს იმპერიალიზმის დიქტატურის მიერ ცხადყოფ სინამდვილიდან: კაპიტალიზმს ასაზრდოებს არა პროლეტარიატის, როგორც კლასის, ექსპლოატაცია, არამედ ნაციების, როგორც მორჩილი მასსების ექსპლოატაცია. ამგვარად, კაპიტალიზმის ძალა დაყრდნობილია არა მარტო პროლეტარიატის, არამედ ნაციების გაფცქვნაზე, კაპიტალიზმი სწოვს სისხლს, როგორც კლასს, ისე ნაციას.

აქედან აშკარაა: რევოლუციამ ხელი უნდა ჩასჭიდოს ორ მომენტს: კლასობრივს და ნაციონალურს. ძველი რევოლუციები ემყარებოდნენ პირველს, უარყოფდნენ—მეორეს, კლასის მოძრაობა დასახული იყო რევოლუციურ აქტად, ნაციონალური მოძრაობა კი კონტ-რევოლუციურ მოვლენად. უმთავრესი სუსტი მხარე, რომელიც სპობდა ძველი რევოლუციების პერსპექტივებს, მათ ძალას და გამარჯვებას იყო ნაციონალური ნიჰილიზმი, ნაციონალური მოძრაობისადმი უყურადღებობა, ნაციონალურ სტიქიის რეაქციურ სტიქიად დასახვა.

ჩვენ ღრმად უნდა შევისისხლხორცოთ ის აზრი, რომ ტეხური კაპიტალიზმი იმპერიულ ინსტინქტებს აღვიძებდა პროლეტარიატის ფართო მასაში ნაციების მონობის საშუალებით, კოლონიების უბედურ ერების გატყავებით, ეს უმთავრესი საშუალება კაპიტალიზმის არსებობისათვის უნდა დაენგრია რევოლუციას, რაიცა მოახერხებდა კაპიტალიზმის უკანასკნელს, მაგრამ მთავარი წყაროს დაკარგვას.

რუსეთის რევოლუციამდე ნაციონალური პრობლემა არ ყოფილა გაგებული რევოლუციის თვალსაზრისით. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას ყოველთვის ესმოდა ნაციონალური საკითხი, როგორც თანამედროვე სოციალიზმის უმთავრესი ძალა და თუ დღესაც ჩვენ ნაციონალურ მომენტს ვაქცევთ განსაკუთრებულ ყურადღებას, ეს ხდება იმიტომ, რომ ნაციონალური იდეოლოგიის ფაქტებში ფიქსაცია უდიდესი რევოლუციური აქცია სოციალიზმის დასამყარებლად.

ჩვენ დღეს საქართველოს რევკომს ყურადღებას განსაკუთრებით მივაქცევთ ნაციონალურ პრობლემაზე ჩვენში. ძალიან კარგად ვიცით, ბევრს ეს ჩვენი პოლიტიკა არ ესმის სათანადოდ, ბევრი ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა არხი-ბურჟუაზიული შეხედულებიდან, რომელიც იჭვის ქვეშ სდებს ნაციონალურს პრობლემას, მაგრამ ჩვენ პატარა კაცების პაწაწკნიტელა თავის ქალას იოტის ოდნავადაც არ ვაქცევთ ყურადღებას და შევეცდებით პრაქტიკულად და იდეურად ავამაღლოთ რევოლუციის მიზანი პრაქტიკა ნაციონალური პრო-

ბლემის რევოლუციის სიმაღლეზე აყვანით.

მოწინავე მკითხველმა საზოგადოებამ კარგად იცის ამ საკითხზე რევოლუციის შტაბის—მოსკოვის აზრი. მოსკოვმა გადაჭრით აილო ნაციონალური პრობლემა როგორც რუსეთის რევოლუციის მთავარი ძარღვი და ამ დიდი საკითხის წითელ დროშაზე დაწერით მიეშურება იგი მსოფლიო კაპიტალიზმის ტასამხობად.

დღესაც საინტერესო კამათია მოსკოვში ნაციონალ საკითხის გარშემო. წმინდა აკადემიური ხასიათი აქვს გიორგი ჩიჩერინის და სტალინის კამათს, ზე ეროვნულ პოლიტიკის და რევოლუციურ ნაციონალიზმის იდეოლოგიაში ჩიჩერინიც და სტალინიც ემყარებიან სოციალისტურ ნაციონალიზმს და მოითხოვენ ეროვნებათა სრულს თავისუფლებას. გ. ჩიჩერინი სწერს: ნაციონალური საკითხის კომუნისტური გადაწყვეტაა სრული და უსაზღვრო (полное и неограниченное) ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული განთავისუფლება ყოველგვარი ჩაგვრისაგან..." ხოლო სტალინი თავის წერილში „Октябрьскій переворот и национальный вопрос"—სწერს: ნაციონალური საკითხი ეროვნულ ჩაგვრის კერძო საკითხიდან გადადის ერების და კოლონიების იმპერიალიზმიდან, განთავისუფლების საერთო საკითხზე" სახავს მას, როგორც ერთ უმთავრეს ეტაპს რევოლუციის პროცესში. აი ამ გვარად, მაე როგორც ერთ უმთავრეს ეტაპს რევოლუციის პროცესში.

აი ამ გვარად, მოსკოვმა ეროვნულ საკითხს პირველად მისცა სათანადო საპატიო ადგილი რევოლუციის პროცესში, რუსეთის რევოლუციამ აილო ხელში დღემდე აუღებელი ნაციონალური ლოზუნგი ერების ნამდვილი თავისუფლებისა და ჩვენ ვამტკიცებთ ამ ისტორიულ-რევოლუციურ ხოვილის გამოა დაუძლეველი რუსეთის რევოლუცია, ამის გამო აჩვენ გვწამს გამარჯვება რუსეთის რევოლუციისა, ამის გამოა ჩვენ გვწამს საქართველოს, როგორც ეროვნულ ქვეყნის ნამდვილი თავისუფლება, ამის გამოა, რომ მსოფლიო იმპერიალიზმს ეკარგება ბატონობის უმთავრესი საფუძველი და ამიტომაა გასაგები და აშკარა ვიმპერიალიზმის აღსასრული

თედო ღლონტი.

# პარტიაში.

ოთხშაბათს, მარტის 30-ს საღამოს გაიმართა მეოთხე შეერთებული სხდომა საქ. სოც.-ფ—თა სარ. პარტიის მთავარ კომიტეტისა და საპროფესიო დარგების წარმომადგენელთა. დასრულდა ხანგრძლივი კამათი მომენტის შესახებ. ილაპარაკეს 16 ორატორმა.

წარმოდგენილ იქნა ორი რეზოლუცია: ერთი დროებითი მთავარი კომიტეტისა და მეორე მთავარ კომიტეტის უმრავლესობისა. მოგვყავს ორივე რეზოლუცია.

**დრ. მთავ. კომიტ. რეზოლუცია:**

სოციალისტ-ფედერალისტთა მთავარ კომიტეტის და პროფესიონალურ ორგანიზაციების შეერთებულმა კრებამ მოისმინა მოხსენება მომენტისა და ტაქტიკის შესახებ და მიიღო რა მხედველობაში:

1) რომ მთავარი საბაბი მომხდარ ომისა იყო ორიენტაციის საკითხი,

2) რომ განვლილმა ომმა უკვე გადაჭრა ეს საკითხი და მომხდარ ფაქტის წინაშე დაგვაყენა,

3) რომ ქართველ მშრომელ მასის თვალში აღნიშნულ ომს ეროვნულ დამოუკიდებლობის დაცვის ხასიათი ჰქონდა,

4) რომ ეროვნულ მომენტს ამ ბრძოლაში მეორეს მხრივ ადასტურებს ნაციონალისტურად განწყობილი არა ქართველი ელემენტების ცდა გართულებულ მდგომარეობით სარგებლობისა,

5) რომ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოში ამა თუ იმ სახელმწიფოსთან კავშირის საკითხი შეიძლება დაისვას და გადაიჭრას მხოლოდ საქართველოს მშრომელთა წარმომადგენლობითი სუვერენულ ორგანოს მიერ,

6) რომ საქართველოში არსებული პირობები სოციალ-ეკონომიურ ურთიერთობისა ქმნიან საბჭოების სახით მშრომელთა უმრავლესობის ბატონობის შესაძლებლობას,

7) რომ იგივე ეკონომიური თავისებურობა აუცილებლად მოითხოვს საქართველოს პირობებთან შეგუებულ სოციალ-ეკონომიურ აღმშენებლობას,

8) რომ აქედან ასეთივე აუცილებლობით გამომდინარეობს დიქტატურის ნგრევითი და უარყოფითი გამოყენების მინიმუმდე დაყვანა და შემოქმედებითი დიქტატურის მაქსიმუმამდე განვითარება,

9) რომ კაპიტალიზმი, როგორც ბუნებრივი მტერი მშრომელ წვრილ მესაკუთრისა და აგრედვე პროლეტარიატისა, ქმნის მჭიდრო კავშირის აუცილებლობას ქართველ მშრომელ გლეხობასა და მსოფლიო მასშტაბით მებრძოლ პროლეტარიატს შორის,

10) რომ ამ კავშირის ნიადაგზე ნამდვილი ინტერნაციონალი შეიძლება მხოლოდ არსებობდეს იმპერიალიზმის ბრჭყალებისაგან განთავისუფლებულ პატარა ერების დიდ ერების ოჯახში სრულუფლებიან წევრად შეყვანის სახით,

11) რომ ქართველი მშრომელი ხალხის კულტურულ-პოლიტიკური აღორძინება უზრუნველყოფილი იქნება ამ ჟამად საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოში, სადაც მოისპობა ყოველივე სახის გარეშე კანტროლი და ჩარევა ქართველ მშრომელთა საქმიანობაში, რომლის შემასრულებელი და მასაზრდოებელი ძალა ქართველ მშრომელთა ოჯახში უნდა გამოინახოს,

**დაადგინა:**

1) აღიაროს მომხდარი გადაჭრა ორიენტაციის საკითხისა, როგორც ფაქტი ქართველ მშრომელთა სახელმწიფოებრივ ცხოვრებისა;

2) უარყოს ამ ფაქტის წინააღმდეგ მიმართული, ინტერვენციის პოლიტიკა და სხვა რაიმე სახის მილიტარული ნაბიჯები;

3) აღიაროს საბჭოთა სისტემა, როგორც ფორმა ქართველ მშრომელთა ეროვნულ სუვერენობის და პოლიტიკურ ბატონობის განმტკიცებისა;

4) დარაჯად დაუდგეს საბჭოთა სისტემის ნიადაგზე ქართველ მშრომელთა მიერ ეროვნულ თვითგამორკვევას უკვე აღიარებულ დამოუკიდებლობის უკლებლივი და შეურყეველი დაცვით;

5) მიიღოს ყოველგვარი მონაწილეობა პოლიტიკურ-ეკონომიურ აღმშენებლობაში საქართველოს ეკონომიურ პირობებთან შეგუებით და აქტუალურ სოციალიზმის გეგმების ცხოვრებაში სრული გატარებით;

6) მხარი დაუჭიროს კომუნისტურ მთავრობას, რამდენადაც ზემოდ აღნიშნული პრინციპები თანამშრომლობის რეალურ საფუძვლად იქცევა და პრაქტიკულ პოლიტიკაში თანდათანობით გატარება.

**მთავარ კომიტ. უმრავლესობის რეზოლუცია:**

მოისმინა რა მთავარ კომიტეტის და თბილისის ყველა პარტიულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრებამ დროებითი მთავარი კომიტეტის მოხსენება მომენტისა და ტაქტიკაზე დაადგინა:

1. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ მიიღოს ყოველივე ზომები რათა პარტიის ყველა ძალები დაუყონებლივ ჩაებან სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის საქმეში და გაორკეცებულის ენერგიით და თავგამოდებით განაგრძონ მუშაობა თავიანთ პოზიციებზე საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებლად და მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ.

2. რაც შეეხება საქართველოს მთავრობაში და ადგილობრივ რევკომებში მონაწილეობის საკითხს. ამის გადასაწყვეტად დაუყონებლივ მიღებული იქნას ზომები ფედერალური საბჭოს ან პარტიული კონფერენციის მოწვევისათვის.

პირველმა რეზოლუციამ მიიღო 18 ხმა, მეორემ 15. ორმა თავი შეიკავა.

შემოდის წინადადება, რომ ამ საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად მოწვეულ იქნას ახლო მომავალში პარტიული კონფერენცია. მომხსენებელი ეთანხმება ამ აზრს, მაგრამ მოითხოვს, რომ კონფერენციამდე მუშაობის გასაძღოლად შედგეს დროებითი ორგანო, რომელიც იმოქმედებს მიღებულ რეზოლუციის თანახმად. ამ დრ. კომიტეტში უნდა შედიოდნენ: მთავარი კომიტეტის წევრები, რომელნიც ემხრობიან მიღებულ რეზოლუციას და თითო წარმომადგენელი საპროფესიო დარგებისა.

მთავარ კომიტეტის უმრავლესობის სახელით განცხადებული იქნა, რომ მთავარ კომიტეტის უმრავლესობა ამ საკითხის გადაჭრაში არ მიიღებს მონაწილეობას.

მომხსენებლის წინადადება მიღებულ იქნა 14 ხმით, თავი შეიკავა [illegible].

პარტიული კონფერენციის მოწვევა დაევალა განსაკუთრებულ კომისიას, რომელშიაც შევლენ: 3 წარმომადგენელი მთავარი კომიტეტისა და 3-იც ახლად შემდგარ დროებით კომიტეტისა.

სხდომა დაიხურა ღამის 11 საათზე.

# ხომხეთში

მარტის 29 ოპერატიული ცნობა. ერევნის მიმართულება.

გაზაფხულის უგზოობით გამოწვეულ ძლიერ მძიმე პირობებში შემტევმა წითელმა ჯარებმა დაიჭირეს სოფელი კირხდარ გომან ხაჯი-ხალილი და სდევნიან სასწრაფოდ უკან დახეულ მტრებს. რომელიც განდევნილ იქმნა 7.721 და 8113 სიმაღლეებიდან. გრძელდება შეტევა ბაშ-აპარანზე. ელენოვკა-ერევნის გზით ჩვენი ნაწილები უტევენ სოფელ პირალუს, კალაშკენდს და იგდუბლუს. გრძელდება ბრძოლა გიკ კილისის მაღლობებზე.

ახალ-ბაიაზეთის მხრით წითელმა ნაწილებმა განდევნეს რა მოწინააღმდეგე მაღლობებიდან, სოფ. ერანოს ჩრდილო-აღმოსავლეთით, რომელიც სამი-ოთხი ვერსის მანძილზეა და განაგრძობენ ბრძოლას სოფ. ერანოს და ატაშმანის ასაღებად.

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის საინფორმაციო განყოფილების ცნობით დაჭერილია რამოდენიმე რადიო ცნობა ერევნიდან გზავნილი „სამშობლოს მხსნელი კომიტეტისა", რომელიც სათავეში უდგას მაუზერისტ-დაშნაკელების კონტრ-რევოლიუციონურ მთავრობას. ამ დეპეშებით გავრცელებულ ცნობების მიზანი ნათელია: მათი სურვილია დაამტკიცონ, რომ თითქო სომხეთის კონტრ-რევოლიუციას ჰქონდეს ეფექტიური და ხალხური ხასიათი. დაშნაკელ მმართველთა მსგავსი ცნობები ტლანქი და უსაზიზღრესი ცილისწამებაა იმ მშრომელი მასსისა, რომლის სახელითაც ლაპარაკობენ ერევნელი მაუზერისტები. ამ რადიოებით იმედი აქვთ დაფარონ თავიანთი მოქმედების ავანტიურის ცუდი ხასიათი და აშკარა მიზანი აქვთ გარეშე ქვეყნები შეიყვანონ სომხეთის კონტრ-რევოლიუციონურ მოძრაობის სოციალურ და პოლიტიკური ფიზიონომიის შესახებ.

# პეტრე კროპოტკინი

პიროვნება და დოქტრინა.

(გაგრძელება).

საზოგადოებრივ ცხოვრების ფილოსოფიურ თეორიათა შორის, ანარქიზმიც სრულ უფლებოვანი წევრია. მხოლოდ აქაც გვჭირდება გარკვევა, რადგან ანარქიზმი ერთი თეორია კი არ არის, არამედ რამდენიმე მიმდინარეობა ასახული, ფრიად გარკვეულად. შორს არ მივდივარ. პრუდონის თეორიას. კაცთა თავისუფალ საზოგადოებრივ ცხოვრების ბუნებრივ ჰარმონიის და ბუნებრივ წესთა" შესახებ, გვერდს უხვევ. შტირნერის „ეგოისტთა კავშირიც" არ მინდა გადავშალო, რადგან შორს წაგვიყვანს. მხოლოდ ანარქიზმის უახლესი დოქტრინები მაინტერესებენ დღეს, და ისიც იმისთვის, რომ პეტრე კრაპოტკინის სისტემა მკაფიოდ გამოჩნდეს და გამოერკვეს.

თანამედროვე ანარქიზმის სწავლაში ორი მთავარი მიმართულება წარმომდგარი:

1) კომუნისტური ანარქიზმი,—და 2) ანარქიზმი ინდივიდუალისტური. მთავარი გარჩევა მათ შორის ის არის, რომ პირველის პოსტულატი არის სამართლიანობა, მეორის კი—პირადი ინტერესი. კომუნისტური ანარქიზმი მიზნად ისახავს თვითეულ ადამიანის განუსაზღვრელ თავისუფლებას და რაც ამ თავისუფლებას თან სდევს, ყველას თანასწორობას სიკეთით სარგებლობაში ინდივიდუალისტური ანარქიზმი კი პირად უნარს და სურვილებს იღებს სახელმძღვანელო პრინციპად.

ასეთია ამ ორ მიმართულების შორის არსებული თეორიული სხვაობა. გარჩევა პრაქტიკის სფეროშიც არსებობს. ინდივიდუალისტური ანარქიზმი გადაჭრით უარჰყოფს მოქმედებითი აგიტაციას, კომუნისტური კი მოქმედებითი აგიტაციას სთვლის ბრძოლის საუკეთესო იარაღად. ორივე მიმართულება ერთდება თანამედროვე სახელმწიფოს უარ-ყოფაში. არსებული უფლებრივი ნორმები ძალადობის აქტად აქვთ წარმოდგენილი. სახელმწიფო, როგორც იძულებითი ორგანიზაცია უნდა დაინგრეს, ამბობენ ერთად.

მაგრამამ ნგრევის მეთოდებით სხვავდებიან. იქ, სადაც კომუნისტ-ანარქისტები ძალადობის მოსპობას ძალადობითვე ჰქადაგობენ, ინდივიდუალისტ-ანარქისტები ყოველგვარ ძალადობას კატეგორიულად უარჰყოფენ, და გონების თან და თანობითი პროგრესს, განათლებას აცხადებენ კაცობრიობის განთავისუფლების მთავარ იარაღად. სქემატიურად ასეთია ამ ორ მიმართულების რაობა. კრაპოტკინი ანარქისტ კომუნისტია. მაშასადამე მისი თეორიის საფუძველი—სამართლიანობაა, მიზანი—პიროვნებას განუსაზღვრელი თავისუფლება, პრაქტიკული მეთოდი—პირდაპირი მოქმედებით აგიტაცია. მივიდეთ უფრო ახლო.

კრაპოტკინი ბაკუნინის მოწაფეა. ბაკუნინმა ანარქიზმი კოლლექტივიზმის გზაზე გამოიყვანა. ხოლო კრაპოტკინმა უკრიტიკოდ კი არ მიიღო იდეიური მემკვიდრეობა, რეფორმა მოუხდინა, და კოლლექტივიზმის სფეროდან, კომუნიზმის სამყაროში გადმოიტანა. ეს თეორიული რეფორმა იყო. ასეთივე რეფორმა მოუხდინა ტაქტიკას. ბაკუნინი შეთქმულობის გენია იყო. რუსული სიტყვა „бунтарь"-ი საუკეთესოდ ახასიათებს ბაკუნინის ტემპერამენტს. კრაპოტკინი კი ანელებს მასწავლებლის უან[illegible] ანთებას. მას რევოლუციისათვის სისტემატიური მომზადება მიაჩნია აუცილებლად, რომ მასსიურ რევოლუციის წინ უსწრობდეს მასსის აზროვნების გარდაქმნა. და ეს მისი თეორია—ტაქტიკა დამყარებული იყო ღრმა ფილოსოფიურ-სოციოლოგიურ ნიადაგზე, რომლის მოკლე გადაშლა საჭიროც არის და აუცილებელიც.

თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილება კრაპოტკინს წარმოუდგენია როგორც ორი კლასის შორის არსებულ ბრძოლის შედეგი. ერთ კლასს დაუჯაბნია მეორე. ძალას ძალა უნდა შეხვდეს, მხოლოდ უფრო მეტი, რომ დასძლიოს. მონობას ძალა სპობს.

თავისუფლებას კი არ უპოძებენ, მოიპოვებენ.

—„ადამიანს არა აქვს სხვა უფლებები, გარდა იმისა, რომელთა დაცვისთვისაც ხელში იარაღით ყოველთვის მზად არის. მხოლოდ შეერთებულნი ერთ ძალად, რომ შეგვეძლოს ჩვენი ნების კარნახი, მივაღწევთ იმას, რომ ჩვენს უფლებებს პატივისცემით მოეპყრობიან.

ვეცადოთ გადვიქცეთ შეკავშირებულ ძალად, რომ შეგვეძლოს ყოველთვის უჩვენოთ კბილები, როდესაც კი შეეცდებიან ჩვენი უფლების შეზღუდვას. ვიყვეთ ძლიერნიო. და მთელ იმედს მოქმედებაზე ამყარებს, შეკავშირებულ აქტივობაზე. და ეს აქტივობა უნდა იყვეს თამამი და გაბედული. გამბედაობა, გამბედაობა და კიდევ „გამბედაობა! უმთავრესად ჰკუის გამბედაობა, რასაც მალე მოჰყვება ნების გამბედაობაც".

აი აქ სჩანს მისი ბუნების დაუცხრომლობა, ინერტობის სიძულვილი. იგი უარჰყოფდა ყოველგვარ კანონს, როგორც უცვლელ კატეგორიას, უარჰყოფდა მეცნიერებაშიც. მოვლენებს კანონები კი არ განაგებენ, არამედ წინასწარი მოვლენა განაგებს თან მიმყოლ მოვლენას. არ არსებობს მუდმივობა ცვალებადობა. დ აი, ეს ერთადერთი კანონია, რომ სწამს პ. კრაპოტკინს: მუდმივი ცვალებადობის ანუ დაუდგრომელ წონასწორობის კანონი და ამ თვალსაზრისით იჭრება იგი საზოგადოებრივ ცხოვრების მწკრივებში, და თამამად უარჰყოფ სპეციალიზაციას, შრომის განაწილებას. ეს პრინციპი მას სძაგს კიდეც. და იმავ ცვალებადობის გამო. შრომის განაწილება ხომ შრომის ერთგვარობას მოითხოვს. მთელი სიცოცხლის განმავლობაში სპეციალისტი მხოლოდ ერთ საქმეს აკეთებს. კრაპოტკინის აზრით, ეს მდგომარეობა არამც თუ მოსაწყენელია, ადამიანის დამამცირებელიც არის. ერთი და იგივე სამუშაო მანქანად აქცევს ადამიანს, უნვითარებს მხოლოდ ერთ უნარს, და უძლონებს სხვებს. სპეციალიზაცია ერთს ანიჭებს დიდობას, უკვდავებას, მეორეს კი ამცირებს, მნიშვნელობას უკარგავს.

და ეს მაშინ, როდესაც ერთის დიდებაც და დიდობაც მეორის დამცირებაზე ჰხდება. არ არსებობენ დიდი პიროვნებები კრაპოტკინის აზრით. არსებობს დიდი ხალხი, მასსა მხოლოდ, და ის, რასაც ამჟღავნებს ესა თუ ის პიროვნება, არის ხალხის ფარული პოტენცია, რის ყოვლმხრივი გამომჟღავნების საშუალება ყველას უნდა მიეცეს. მაშ უარჰყავით სპეციალიზაციის ბორკილები წაიღეთ შრომის განაწილების სახიზღარი პრინციპი. ასე ბრძანებს კრაპოტკინი.

მას უნდა მუშაობის ცვალებადობა, რომ მოისპოს ის ფიზიკური და მორალური სნეულებანი, რომლითაც თანამედროვე ავტომატი ადამიანები არიან შეპყრობილნი. და ამ განცხადებაში ცნაურდება ის თანასწორობა, რომელიც წარმოადგენს კრაპოტკინის თეორიის საფუძველს. ეს თანასწორობა გასდევს მთელ მის შემდგომ აზროვნებას. და იგივე თანასწორობის პრინციპი ჰქმნის სამართლიანობის ახალ კრიტერიუმს.

სამართლიანობა უმთავრესად დამსახურებათა შესაფასებლად გვჭირდება. კაცობრიობამ დამსახურებათა კლასიფიკაცია მოახდინა. იერარქიული კიბე აქაც ამართულია. კრაპოტკინი სცდილობს ამ კიბის დაქცევას. არ არსებობს დიდი და მცირე დამსახურება, რადგან არ არსებობს დამსახურება ინდივიდუალური.

ის, რაც ამა თუ იმ პიროვნებას მიაჩნია საკუთარ საქმედ, არის ხალხის საქმე. ყოველ კერძო მოქმედებას თუ შემოქმედებას ნიადაგს უმზადებს ის „დიდი უცნობი", რომელსაც სახელად ხალხი ეწოდება. ვერავინ იტყვის რომ ინჟინრის შრომა მეტად ფასობს, ვიდრე მაღაროს მუშისა, რომ მათ მიერ ამოღებული ქვა-ნახშირი მხოლოდ მათი საქმე იყვეს. არა იმ საქმეში მონაწილეობა აქვთ მიღებული იმ ხალხსაც, რომლებმაც გაიყვანეს გზები ამ მაღაროებისკენ, რომლებმაც გასჭედეს რკინა, გამოსჭრეს ხე, გააკეთეს მანქანები, დათესეს მიწა და სხ. და სხ. ჩვენ წინ სდგება ერთი დიდი შემკრებლობითი საქმე, რომელიც ყველას ეკუთვნის და კერძოდ კი არავის. მაშ ერთის შრომა რად უნდა დაფასდეს უფრო მეტად, როდესაც ურთიერთად ვერაფერს გააკეთებდნენ?— „რომელს ჩვენგანს შეუძლიან განაცხადოს პრეტენზია უფრო მეტ დასაჩუქრებაზე? ექიმს, რომელმაც გამოიცნო ავადმყოფობა, თუ მომვლელ ქალს, რომელმაც ხელი შეუწყო ავადმყოფის მორჩენას? ლოკომოტივის მომგონს თუ მუშას, რომელმაც მიაწოდა აზრი ქვების მაგიერ ხის შპალების დაწყობისა, რომ უფრო მოქნილს მოესპო მატარებლის ლიანდაგს ბილიკები?

თუ მექანიკოს, რომელიც ორთქმავალს განაგებს? თუ მუშას, სიგნალით რომ აჩერებს მატარებელს?, თუ მესირეს, რომელსაც გადაჰყავს მატარებლები და ჰკეტავს გზებს?.. ასე სვამს კითხვებს დიდი ანარქისტი, და უპასუხებს კიდეც: რომ ყველა საქმე სწორ ღირებულებისაა. მაშასადამე დამსაყოფილებაც თანასწორი უნდა იყვეს. ამას მოითხოვს სამართლიანობა, და ის სოლიდარობა, რომლისადაც წარმოუდგენელია კაცთა შეკავშირებული ცხოვრება.

(შემდეგი იქნება).

გაბ. კოპაძეიშვილი.

# სომხური პრესა.

**„კარმირ ახტლ“ 30 მარტი.**

მ. მოკინსიანი თავის წერილში „რა უნდა ვაკეთოთ ტფილისში“ დაწვრილებით არჩევს საკითხს, როგორი უნდა იყოს მოქმედება სომეხ კომუნისტებისა ტფილისში.

„ცხადია, სწერს მოკინსიანი, რომ სომხეთის კულტურულ ცხოვრების მაჯა სუსტი იქნება საბჭოთა სომხეთში. ჩვენ არა გვაქვს ის სათვალსაჩინო იარაღი, რომლითაც შესაძლებელი იყოს ერევანში დაარსდეს მატერიალური საშუალება და ცოცხალი ძალები, რომელთა შემწეობითაც შეიძლებოდეს მინიმალურათ მაინც დაკმაყოფილდება ჩვენი მხრის კულტურული მოთხოვნილებისა და ამიტომ ჩვენ დაგვეხმარნენ ტფილისში ცოტათი ბაქოში, ნახიჩევანშიაც (დონზე) და მოსკოვში. ტფილისში ჩვენს განკარგულებაშია თეატრების შენობები, სტამბები, სკოლები, ინვენტარი, ბიბლიოთეკები მუზეები და სხვა. ტფილისში გვყავს მრავლათ პედაგოგები, ლიტერატორები, არტისტები, ხელოვნები, მემუსიკენი და სხვა. დასასრულ ტფილისში სცხოვრობენ წარმომადგენლები თავისუფალ პროფესიებისა და სპეციალისტები.

ტფილისი უნდა დ ეხმაროს ერევანს დღემდე, როგორც მეფობის დროს, ისე მენშევიკების ხელისუფლების დროს, ჩვენი საქველმოქმედო დაწესებულებანი მუშაობდნენ შინაურულად. დღეს საბჭოთა მთავრობის წესრიგის მიხედვით სომხურ მასების სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილება სახელმწიფოს საქმეა. სომხურ საზოგადო მასშტაბში ყველგან სადაც სცხოვრობენ და მუშაობენ სომხური მასები უნდა დაარსდეს სათეატრო, საგამომცემლო და საგანმანათლებლო დაწესებულებანი და ეს უმთავრეს ყოვლისა სომეხ კომუნისტთა საქმეა. ჩვენ მოგვაქვს თან ერთა თანასწორობა ე. ი. ენათა თანასწორობა. საბჭოთა სახელმწიფო ზრუნავს ყველა ენებზე. სომეხმა კომუნისტმა კარგად იცის, რომ სომხური ენა მეფობის დროს იყო ენად უმთავრესად სომხის მშრომელ კლასისა მან იცის, რომ სომხის ბურჟუაზია (სომხის მხოლოდ დაბადებით) ლაპარაკობდა რუსულად და სომხის დემოსის ენა იყო და დარჩა სომხური ენა. აქედან ერთი დასკვნაა: პარტიამ, რომელიც იცავს პროლეტარიატისა და ღარიბ გლეხობის ინტერესებს, აუცილებლათ უნდა დაიცვას დედა ენა ამ მასებისა და ყოველივე ის, რაც დაკავშირებულია ამ ენასთან: წიგნი, სკოლა და თეატრი ტფილისი უნდა დაეხმაროს ერევანს. არ უნდა გაგვიტაცოს იმ აზრმა, რომ საჭიროა სომეხ კომუნისტების გაგზავნა ერევანში. პირიქით უნდა ვეცადოთ საქართველოში დავტოვოთ. დიდი საპასუხისმგებლო მუშაობა მოელის სომეხ კომუნისტებს თბილისში. ეს მუშაობა ამხ. მაკოციანის აზრით მდგომარეობს იმაში, რომ სომხეთისათვის უნდა მომზადდეს ყველა ის კულტურული საშუალებანი, რის მოცემაც შეუძლიათ თბილისის სომხებს.

# ახალი ამბები

— **პურის ფასი.** პურის ფასის საკითხის შესახებ, რომელიც ეძლევა კერძო წარმოების მუშებს მუშათა მაგიდის შემწეობით, სურსათის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა გადაახდევინოს ფასი პურისა, რომელიც ეძლევათ კერძო წარმოებებს, გადახდეს ამ წარმოებათა პატრონებს.

— **სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომიტეტში.** უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა მიიღოს თავის განკარგულებაში ებრაელთა საქველმოქმედო საზოგადოება.

მცოვრებთათვის სოციალურ დახმარების ორგანიზაციის საკითხის შესახებ ქ. ტფილისში დადგენილია დაარსდეს ტფილისის ქალაქის რევკომში შესაფერი განყოფილება. რაც შეეხება სოციალურ დახმარების ორგანიზაციას პროვინციაში, საჭიროა დაარსდეს ქსელი ადგილობრივ განყოფილებათა და ამ ქსელის გეგმის შემუშავება მიენდოს საინსტრუქტორო განყოფილებას.

— **ჯანმრთელობის სახ. კომიტეტის მოწყობა პროვინციაში.** ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა პროექტი საგუბერნიო და საოლქო ჯანმრთ. განყოფილების მოწყობისა. ამ ორგანიზაციის ცხოვრებაში გატარების მიზნით, ოლქში გაგზავნილ იქმნენ სათანადო ინსტრუქტორები.

— **სახალხო მამულის ბედი** ქუთაისის გუბ. სახალხო მამულები ვარციხე (ყოფ. ძმ. ანანოვებისა) და ვაქები, როგორც გამოირკვა, დარბეულია უკან დახეულ ქართულ ლაშქრის მიერ. აღნიშნულ მამულებში დაარბიეს ღვინის და კონიაკის საწყობები.

— **ტფილისის სათემო რევკომში.** ტფილისის სათემო რევკომმა უკვე აღადგინა კავშირი მაზრის ყველა თემებთან. ამ ჟამად არკვევენ ომით დაზარალებულ გლეხთა მდგომარეობას, გროვდება ეროვნის ქონება, ეწყობა ტელეფონის კავშირი და სდგება ცხენოსანი და ქვეითი მუშათა და გლეხთა მილიციები.

— **საზომ-საწონის პალატა.** საქართველოს საზომ-საწონის პალატა ყოფილ ფინანსთა სამინისტროს უწყებიდან გადადის სოფლის მეურნეობის უმაღლეს საბჭოს უწყებაში.

— **ულუფა უმუშევართ.** სურსათის კომისარის კოლეგიამ დაადგინა განიხილოს შრომის სახალხო კომისარის და პროფკავშირების აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენლებთან ერთად შეერთებულ სხდომაზე განხილულ იქმნეს საკითხი უმუშევართა ულუფის შესახებ.

— **სასადილოები მუშებისათვის.** მუშათა უბნებში სასადილოების გახსნის შესახებ სურსათის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა გახსნას მუშათა უბნებში სასადილოები და მიაწოდოს მათ სურსათი სასურსათო სახალხო კომისარიატის საწყობიდგან. ამ სასადილოების მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ დადგენილია მიეცეს მათ უფლება დამოუკიდებლათ შეისყიდონ სურსათი, ხოლო იმ პირობით, რომ ეს ყიდვა სწირმოებდეს მიხედვით, საზოგადო გეგმისა.

— **რკინის გზის შემადგენლობის მდგომარეობა.** რკინის გზის წესიერი მიმოსვლა აქამდე ვერ მოწესრიგდა უმთავრესად ორთქლმავლებისა და ვაგონების ნაკლებობისა გამო, როგორც ირკვევა, მენშევიკურმა მთავრობამ ტფილისიდან წასვლის დროს ბათომში წაიღო 99 ორთქლმავალი და 3000 ვაგონზე მეტი; ამ ვაგონებით უმრავლესობა წაღებულ საქონლით იყო დატვირთული.

საქართველოს რკინის გზების ექსპლოატაციის ყოფილი უფროსი აბელიშვილი დროებით დანიშნულია პირველ განყოფილების უფროსად.

საქართველოს რკინის გზის ნაწილი, სადგ. მიხაილოვიდან სადგ. სამტრედიამდე და ქუთაისისა, ჭიათურისა და ტყიბულის შტოები სამხედრო უწყებამ გადასცა გზათა კომისარიატის განკარგულებაში.

— **ქალაქის რევკომში.** ტფილისის რევკომის მმართველობის განყოფილების გამგეთ დანიშნულია ამხ. ანანოვი.

— **მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატში.** მიწად-მოქმედების კოლეგიის სხდომამ დაადგინა გაიცეს სესხად 3 მილიონი მანეთი ქართლის საერო მამულის საჭიროებისათვის.

მეაბრეშუმეობის ინსპექტორის ქუთათელაძის მოხსენებით დადგენილია 10-დგან 15-მდე კოლოფი აბრეშუმის თესლისა გაიგზავნოს აზერბეიჯანსა და სომხეთში გასაყიდად დამკვდარ ფასად. ადგილობრივი თესლი აბრეშუმისა, რომელიც კარგი გამოდგა, შესყიდულ იქმნეს პატრონებისაგან. თესლი დამზადებულია მეაბრეშუმეობის სადგურის მიერ. გაიყიდოს ადგილობრივ მეაბრეშუმეებზე 6000 მანეთად კოლოფი, წონით 6 მისხალი, იმ პირობით, რომ ერთ კაცს ორ კოლოფზე მეტი არ მიეცემა.

ამხ. ქუთათელაძე კოლეგიის ამავე სხდომაზე დამტკიცებულ იქმნა მეაბრეშუმეობის ინსპექტორის თანამდებობაზე. ამასთანავე დადგენილ იქმნა მიეცეს წინადადება ყველა რევკომებს გაუწიონ ამხ. ქუთათელაძეს ყოველგვარი დახმარება მასზე დაბარებულ საქმეთა ასრულებაში.

— **სკოლის მუშაკთა დელეგაცია მთავრობის თავმჯდომარესთან.** გუშინ მთავრობის თავმჯდომარე ინახულეს სკოლის მუშაკთა პროფესიონალურ კავშირის პრეზიდიუმმა ამხ. შალვა ნუცუბიძესთან ერთად. დელეგაციამ გააცნო მთავრობის თავმჯდომარეს მასწავლებელთა მძიმე ნივთიერი და სასურსათო მდგომარეობა და წარუდგინა თავისი გეგმა ამ მდგომარეობის გაუმჯობესებისა ამხ. ალ. მდივნის მიერ შედგენილი. მთავრობის თავმჯდომარემ აღუთქვა საჭირო დახმარება.

— **მოქ. სავედა მეტრეველი** (ა. ხუციშვილი) იწვა მიწადმოქმედების სამინისტროს საავადმყოფოში ქ. ბორჯომში. და ამ გადატრიალების შემდეგ არა ვიცით რა მის შესახებ და თუ ვიცით ვინმემ სად იმყოფება გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: ქალ. ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 25, შალიკო ბარბაქაძეს.

— **გადამდები ავადმყოფობა.** ქალაქის მედიკურ-სანიტარულ ბიუროს ცნობით 1 მარტისთვის ქალაქის საავადმყოფოში იყო გადამდებ სენიანი ავადმყოფებში. პარტახტიან სახადით 17, შებრუნებითი სახადით—3, მუცლის—3, ყვავილით—4, ხუნაგით—2 ყბაყურით—1, სულ—30. 15—23 მარტამდე მოიყვანეს ახალი ავადმყოფები პარტახტ. სახადით—15, შებრუნებითი—5, მუცლის—3, ყვავილით—2 და ხუნაგით—2, სულ 27. ამ დროს განმამლობაში საავადმყოფოდან გამოეწერა—პარტ. 7, მუც.—4, ყვავ.— , ყბაყურით—1, სულ—13. გარდაიცვალა: პარტ.—2, მუც.—1, ყვავილით—1, სულ—4.

# სოც.-ფედ. პარტიაში

**საქა-თვ. სოც.-ფედერ. სარევოლიუციო პარტიის ტფ. საქალაქო კომიტეტის დადგენილების თანახმად ყველა პარტიის წევრი სარეგისტრაციოთ და პარტიულ საწევრო ბარათის მისაღებად უნდა გამოცხადეს პარტიის მთავარ ბიუროში (ლორისმელიქოვის ქ № 1) კომიტეტის მდივანთან, რომლისნახვა შეიძლება ყოველ დღე საღ. 6—9 დის.**

# დადგენილებანი.

**საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის.**

მიუხედავად საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის მიერ გამოცემულ დეკრეტის რომლითაც მოქალაქეთ ეძლევათ უფლება სურსათ-სანოვაგის დაუბრკოლებლივ გადაზიდვა-გადმოზიდვა რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მაინც უკანასკნელ ხანებში არაერთხელ ყოფილა შემთხვევა სურსათის დაჭერისა მილიციის მოსამსახურეთა ან ჯარის ნაწილების მიერ, ესეთი მოქმედება ხსენებული პირებისა სრულიად უკანონოა.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი გაცნობებთ, რომ ის პირნი და დაწესებულებათა უფროსნი, რომელნიც შემჩნეულნი იქნებიან საქართველოს მთავრობის რევოლიუციონურ კომიტეტის დეკრეტების და განკარგულებათა დარღვევაში ან მათ შეუსრულებლობაში, სასტიკათ იქმნებიან დასჯილნი რევოლიუციონურ სასამართლოს მიერ. ამიტომ წინადადებას გაძლევთ არავითარი დაბრკოლებანი მიაყენოთ მოქალაქეთ სურსათის და პირველ მოთხოვნილებათა საქონლის გადატან-გადმოტანაში.

გუბერნიის მილიციის უფროსებს კატეგორიული წინადადება ეძლევათ, მათი პასუხისმგებლობით. სასტიკათ და ბეჯითად ადევნონ თვალყური ამ დადგენილების შესრულებას.

იმავე მილიციის უფროსები ვალდებულნი არიან განსაკუთრებული სისწრაფე მისცენ მათი უწყების ყველა დაწესებულებათ და პირთ, ამ დადგენილების შეთანხმებით, სათანადო ალსნა-განმარტებანი და აცნობონ სამი დღის განმავლობაში, დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, შინაგან საქმეთა კომისარიატის რა ნაბიჯები იყო მათ მიერ გადადგმული და როგორც რეალური ზომები იყო მიღებული ზემოხსენებულ უწესოების ასალაგმავათ.

ჯარის ნაწილების ან მათი თანამშრომლების მიერ სურსათის თავისუფალ გადატან-გადმოტანის დეკრეტის დარღვევის შესახებ დაუყონებლივ უნდა ეცნობოს შინაგან საქმეთა კომისარიატს. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ბ. კვირკველია, საქმეთა მმართველი ვ. ხანაშვილი.

**დადგენილება № 3, ყოფილ სახალხო გვარდიის დაწესებულების ქონების უწყება შორის განაწილებისა.**

1. ყოფილი სახალხო გვარდიის ყველა დაწესებულებანი მთელი მათი ქონებით მიღებულ იქნეს სამხედრო საზღვაო სასურსათო და მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატების შორის.

2. ამ დაწესებულებათა და მათი ქონების განაწილების წესის შემუშავება დაევალოს ზემოხსენებულ უწყებების წარმომადგენელთაგან შემდგარ კომისიას სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილის თავმჯდომარეობით. საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდმარე ფ. მახარაძე, რევკომის მდივანი გაბრიჩიძე.

**დადგენილება № 6.**

ქალაქის შრომის ბირჟისა, მომრიგებელი კამერისა, სატარიფო პალატისა და მუშათა მაგიდის გაუქმების შესახებ.

1. გაუქმებულ იქნეს აწ არსებული, პარტიულ წარმომადგენლობის საფუძველზე აშენებული ქალაქის შრომის ბირჟა.

შრომის აღრიცხვისა და მისი განაწილების საქმე დაევალოს შრომის სახალხო კომისარიატს.

2. გაუქმებულ იქნეს მომრიგებელი კამერა და ყველა სადაო საკითხების გადაწყვეტა, რომელიც აღიძვრება მუშათა და მოსამსახურეთა და დამქირავებელთა შორის, დაევალოს შრომის სახალხო კომისარიატს.

3. გაუქმდეს სატარიფო პალატა და შრომის პირობების მოწესრიგების საქმე გადაეცეს საქართველოს პროფესიონალური კავშირების ცენტრალურ საბჭოს.

4. ყოფილ შრომის სამინისტროსთან არსებული მუშათა მაგიდა გაუქმებულ იქნეს. მუშათა და მოსამსახურეთა მომარაგების საქმე დაევალოს სასურსათო სახალხო კომისარიატს.

5. აკრძალულ იქნეს და მოისპოს ამა წლის მარტის 1-დან საავადმყოფო კასის ფონდებისათვის მუშებისაგან გადასახადის აკრება და ყველა ის, ვინც ამას დაარღვევს მიეცეს სასტიკ პასუხისგებაში რევოლიუციონური დროის კანონების თანახმად.

6. შრომის სახალხო კომისარიატს წინადადება ეძლევა რევკომის ამ დადგენილების განსაკუთრებლად გამოსცეს სათანადო ინსტრუქციები. საქართველოს ს. ს. ჩ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე. შრომის სახალხო კომისარი დუმბაძე. რევკომის მდივანი მ. გაბრიჩიძე. 1921 წლ. მარტის 28.

# რადიო

**ნატურალ. გადასახადის შესახებ.**

**მოსკოვი.** 30—3 (რადიო). ადგილებიდან მოსულ ცნობებიდან სჩანს, რომ ზოგიერთი საგუბერნიო სასურსათო კომიტეტები, არ უცდიან რა ცენტრიდან დირექტივებს, აწარმოებენ ნატურალურ გადასახადის კერძო შემოღებას და თავის შეხედულებით ახდენენ აპპარატის რეორგანიზაციას დეკრეტების გამოუშვებულ სხვა და სხვა კომისიების მუშაობის შესახებ, რომელნიც (დეკრეტები შეეხება იმას, თუ როგორ უნდა სწარმოებდეს ნატურალური გადასახადების გადახდა ადგილზე ესმით, როგორც ოფიციალური დირექტივები ცენტრალური მმართველობისა. აგრეთვე ადგილობრივ სასურსათო ორგანოები და საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტები, გაზეთებში მოთავსებულ სახალხო სასურსათო კომისარიატის კოლეგიის დადგენილებებს მართავენ, როგორც უკვე მიღებულთ. ყველასფერი ეს ქმნის ორგანიზაციულ ქაოსს და სასურსათო საქმეში არევ დარევა შეაქვს მაშინ, როდესაც საჭიროა მუშაობის სასტიკი მთლიანობის დაცვა. ამის შემდეგ საგუბერნიო სასურსათო კომიტეტებს ევალებათ აასრულონ მხოლოთ ის დადგენილებანი, რომელნიც გამოქვეყნდება ხოლმე სათანადო სამსახურის პირთა ხელმოწერით.

**საქმე ეწყობა.**

**ბახმუტი.** 25—3. (რადიო) სოფელ ტროიცკის გლეხები შეუდგნენ მიწების აქტიურ ხვნას. სახალხო მიწების ზედმეტი ნაწილდება უმიწო გლეხებ შორის.

**მოციქულები დააჭირეს.**

**მოსკოვი.** 30—3. (რადიო) კრასოვკში პუგაჩოვის მაზრაში, სასოფლო ყრილობის კომისიამ დაუტოვა სულზე თრ ორი ფუთი, დანარჩენი კი მცხოვრებთა საზოგადო ბეღლებში ჩაყარა. როცა მთელი სოფელი დაიარეს, მიადგნენ ეკლესიას. ეკლესიას დასჭირდა სეფისკვერისთვის პური. რადგან შეიძლებოდა, რომ კომისიამ გამოსაცნი მათა: ეკლესიის სეფისკვერს დატოვოს პური, მაგრამ მიუთვალოს იგი ჩამოართვეს. შემდეგ მოციქულებისთვის: პეტრესთვის, პავლესთვის, ფლორისთვის, ლავრისთვის და სხვ, სულ 10 სულს დაუტოვეს 20 ფუთი პური.

**რუმინიის განცხადება.**

მოსკოვი, რუმინიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტაკე იონესკუმ ნოტით მიმართა ჩიჩერინს, რომელშიაც აღნიშნავს, რომ რუმინიაში არ ყოფილა და არც არის არავითარი რუსული პოლიტიკური ორგანიზაცია. უკრაინის ჯარები განიარაღებულია. რუმინიის ჯარებს დაევზავნა მკაცრი ბრძანება იქონიონ საზღვარი სრულებით დახურულათ.

**ხწავიან.**

მოსკოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარისაგან ბრიტანეთის ვაჭრობის მინისტრმა რუსეთის სავაჭრო შეთანხმებაზე ხელის მოწერის დროს გადასცა კრასინს წერილი, რომლითაც მიაქცევს საბჭოთა მთავრობის ყურადღებას იმ ფაქტებისადმი. რომელსაც იწვევს ამ მთავრობის მოღვაწეობა ინდოეთსა და ავღანისტანში. ეს ფაქტები, ინგლისის მთავრობის აზრით, არ ეთანხმება ხელშეკრულების პირობებს და დაუყონებლივ უნდა იყოს მოსპობილი.

**გერმანელ მუშების აჯანყება.**

**ნაუენი.** დიდი რკინის გზის და წარმოების ცენტრი წარმოადგენს თავის წამლის ბოევს. მდგომარეობა იქ ძლიერ სერიოზულია რურის ოლქში კომუნისტებმა გამოაცხადეს საერთო გაფიცვა. დორმუნდში, მოკავშირეთაგან ღრაკონისებურ ზომების მიღების მიუხედავათ, მთელი მუშაობა შეჩერებულია.

**საზღვარ გარეთიდან საქონელი მიდის.**

**ოდესა.** სტამბოლიდან მოვიდა ოსმალეთის გემი მანუფაქტურით ქვანახშირით დატვირთული.

**კრონშტადტის ამბების გამო.**

**კავკავი,** გრუკავროსტას სპეც. კორესპონდენტისაგან განსაკუთრებულ ბრიგადის ჯარისკაცებმა პიატიგორსკში მიიღეს რეზოლიუცია, რომელში პროტესტი და აღშფოთება გამოთქმულია ამ დაბრმავებულთა და სულელთა წინააღმდეგ, რომლებმაც ანტანტის აგენტების ჩაგონებით აჯანყება მოაწყვეს კრონშტადტში. რევოლიუციონური პროლეტარიატი შემდეგშიაც მაგარი შეარაღებული ხელით ჩააქრობს ყოველგვარ აჯანყებას მუშათა და გლეხთა ხელის უფლების წინააღმდეგ. რეზოლიუციის ბოლოში ნათქვამია: გაუმარჯოს ბურჟუაზიულ საზოგადოების სიმაგრის შტურმს. გაუმარჯოს პროლეტარიატისოლიდარობას სიმტკიცეს და დისციპლინას.

**ჩრდილო კავკასიაში.**

**კავკავი.** (გრუკავროსტას სპეც. კორესპ.) მოისმინეს რა მოხსენება პროფესიონალურ საკითხების შესახებ, ყარანოღაელებმა ყიზილარის რაიონიდან, გამოიტანეს შემდეგი რეზოლიუცია: ჩვენ, მომაზარე ყარაბადელნი, ვესალმებით საბჭოთა ხელის უფლებას და პირობას ვაძლევთ დავეხმაროდ წითელ ლაშქარს მთელი ჩვენი ძალღონით. საბჭოთა ხელის უფლება ჩვენ ხელის უფლებაა, საბჭოთა ხელის უფლების სიკეთე ჩვენი სიკეთეა.

**ყაზახთა ყრილობა.**

**კავკავი.** (გრუკავროსტას სპეც. კორ.) ხლებცოვის სტანიცაში შესდგა ყაზახთა ყრილობა, რომელმაც გადასწყვიტა დაუყონებლივ შეუდგნენ დათვესის კომიტეტის მოწყობას, გამოსთქვნს სურვილი. რომ ყაზახთა სტანიცები დასახლებულ იქმნას მთიელთა ჯგუფებით, არტელებით, და კომუნებით.

**როგორი მიზნები აქვთ ტრანსპორტის მუშებს.**

არ არის სხვა ისეთი ნაწილი პროლეტარიატისა რუსეთში, რომელიც ისე მტკიცეთ იყოს დაკავშირებული ყოველდღიურ და ეკონომიურ მოღვაწეობაში გლეხებთან, როგორც რკინის გზელები და მეზღვაურები, რომლებიც მჭიდროთ არიან დაკავშირებული მრეწველობასთან. ყრილობამ უნდა გაატაროს ცხოვრებაში პარტიის გადაწყვეტილებანი და უნდა შეათანხმოს მაღალი და დაბალი მაღლის დაბლისადმი დამორჩილების გზით და იმ კერძო შეცდომების გასწორებით, რომლებიც იყო ჩადენილი მაღლების მიერ. ყველაფერი დამოკიდებულია პროლეტარიატის შეკავშირებაზე და შეგნე-

ბაზე და ახლო დროში ტრანსპორტის მუშებზე. უნდა აღვადგინოთ მიწათ მოქმედების და მრეწველობის ტრიალი, ხოლო ამის აღსადგენათ საჭიროა მატერიალური დასაყრდნობი რკინის გზის და საწყლო გზების ტრანსპორტის სახით.

**ტრანსპორტზე მომუშავეთა ყრილობა** (დასასრული).

არა მარტო კომუნისტებს ევალებათ განსაკუთრებულის ყურადღება მოეპყროს თავის სამუშაოს, არამედ ვინც ითვლება პროფესიონალურ ტრანსპორტის მომუშავეთ, უნდა შეიგნონ აწ არსებულ მომენტის სიმძიმე და კლასების ძალთა განყოფილება. მათ შეგნებაზეა დამოკიდებული წავა თუ არა პროლეტარული რევოლიუცია შეუპოვრად გამარჯვებისაკენ ისევე, როგორც იგი მიდიოდა უკანასკნელ დროში, თუ წავა მერყევი სატორტმანო გზით და გამარჯვებინებს თეთრგვარდიელებს. მეტრანსპორტეთა წარმომადგენლებისათვის არსებობს მხოლოდ ერთი გამოსავალი—ასჯერ მეტი პროლეტარული შეკავშირება. ასჯერ მეტი პროლეტარული დისციპლინა (მთელ დარბაზში მწუხარე ტაშის კვრა).

**ამხ. ლოზოვსკის მოხსენება.** ამხ. ლოზოვსკის მოხსენების გამო, ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო შეკავშირების შესახებ, ყრილობამ დაადგინა მოუწოდოს სატრანსპორტო მომუშავეთ იბრძოლონ დაქირავებულ მონობის კაპიტალისტურ სისტემის შესასვლელად კი არა, არამედ მის მოსასპობად. წინადადება მიეცეს ყველა ქვეყნების რევოლიუციონურ მეტრანსპორტეთ აწარმოონ ბრძოლა თავიანთ კავშირებში რათა გამორეკილ იქმნენ იქიდან მომხრენი სოციალისტურ... (გამოტოვებულია) ჟენევაში ახლო მომავალში მოსალოდნელია ტრანსპორტზე მომუშავეთა კონგრესზე დასმულ იქმნას საკითხი, რომ გაწყვეტილი იქმნას მეტრანსპორტეთა ინტერნაციონალის კავშირი ყვითელ ინტერნაციონალთან და... (გამოტოვებულია)... უგზავნის ძმურ სალამს ყველა მებრძოლ სოციალისტურ რევოლიუციის და პროლეტარულ დიქტატურისთვის, რუსეთის მეტრანსპორტეთა სახელით, რომელიც მოქანცულია და მშიერია, მაგრამ სულით კი არაა დაცემული, ყრილობა იმედს გამოსთქვამს, რომ კაპიტალიზმის დღეები დათვლილია. რომ შორს არაა ის დღე, როდესაც რკინის გზის და წყლის ტრანსპორტი, რომელიც აქამდის გამოხატავდა საერთაშორისო კაპიტალიზმის უმაღლეს შეკავშირებას, შეიქმნება თავის მუშებით ძლიერ იარაღად კაპიტალისტური წყობილების დასანგრევად და ძლევამოსილ სოციალისტების შრომის მნიშვნელოვან საფუძველათ,

# ს. ს. ს. რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან

საყოველთაო საყურადღებოთ აცხადებს, რომ თანახმად საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის დადგენილებისა, ხსენებულ კომისარიატთან დაარსდა კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს და დააკმაყოფილოს საჩივრები იმ დაზარალებულ მოქალაქეთა, რომელთაც წითელ არმიის საჭიროებისათვის რეკვიზიციით ჩამოერთვათ: ცხენები, პოლოსკები, შესაბმელი მოსართავები, საკვები, და საქონელი და ამისათვის კანონით დაწესებული კვიტანციები არ მიეცათ, რასაც ადგილი ჰქონდა ზემოასენებულ არმიის საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო მოქმედების დროს 1921 წ. 10 თებერვლიდან და აგრეთვე იმავე სამხედრო მოქმედების განმავლობაში ჯარის ნაწილთა ბანაკობის დროს. ამ კომისიამ თავის მოქმედება დაიწყო ამა წლის მარტის 29-დან (ყოფილ კადეტთა კორპუსის შენობაში) განცხადების მიღების წესრიგი შემდეგია:

§—1. ფულის მოთხოვნილება იმ მოქალაქეთა, რომელთაც ხელთა აქვთ კანონიერი გზით შედგენილი აქტი ან კვიტანცია მიცემული სათანადო შემსყიდველ კომისიათა მიერ დასტურად იმისა, რომ მათგან ჯარი ნაწილთა საჭიროებისათვის შეძენილ იქმნა—ცხენები, პოლოსკები, შესაბმელი მოსართავები, საქონელი და საკვები—არ დაკმაყოფილდება ზემოხსენებულ კომისიის მიერ; ასეთი განცხადებანი უნდა დააკმაყოფილოს სამხედრო უწყებამ უშუალოდ.

§ 2. ყველა მოქალაქეთა ზარალის ანაზღაურების შესახებ საჩივრებით წინასწარ უნდა მიმართონ ადგილობრივ რევკომებს განსაკუთრებულ წერილობითი განცხადებით სადაც სისწორით უნდა აღინიშნოს: წელიწადი თვე და რიცხვი რეკვიზიციის მოხდენისა და შეძლების დაგვარად დასახელებულ იქმნეს ჯარის ნაწილის სახელწოდება, ან დაწესებულება, ან თანამდებობა და გვარი იმ პირთა რომელთაც მოახდინეს რეკვიზიცია. იქვე ჩამოთვლილი უნდა იყოს რეკვიზიციით ჩამორთმეული ყველა საგნები.

§ 3. ამავე განცხადებებში აუცილებლად მოხსენებული უნდა იყოს, რომ ხსენებულ საგნების რეკვიზიცია მოხდა ადგილობრივ რევკომის წარმომადგენლის თანადასწრებით, ან უკანასკნელის განკარგულებით.

§ 4. იმ შემთხვევაში, როცა ფაქტიურ რეკვიზიციის დროს რაიმე მიზეზით ადგილობრივი რევკომი არ არსებობდა, მაშინ განცხადებებში აუცილებლად ნაჩვენები უნდა იყოს—სახელდობრ—რომელ ადმინისტრატიულ ხელისუფლებას შეუძლიან დადასტურება, მომჩივანის რეკვიზიციის მოხდენის სინამდვილე.

## დეკრეტი № 8.

მესხიშვილისა, ბისოვისა და შახბაზიანის ლიტო-ტიპოგრაფიების ნაციონალიზაციისა.

1. სახელმწიფო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ალიარებულ იქნეს, ნაციონალიზაციის წესის საფუძველზე, სახელმწიფოს საკუთრებად შემდეგი ლიტო-ტიპოგრაფიები:

1., ლიტო-ტიპოგრაფია „მესხიშვილისა (პლეხანოვის პროსპ.) 2. ლიტო-ტიპოგრაფია ბისოვისა (რუსთაველის პრ.) და 3. ლიტო ტიპოგრაფია შახბაზიანისა (ბარიათინსკის ქუჩ.).

2. ყოველი ქონება პირველ მუხლში აღნიშნულ ლიტო-ტიპოგრაფიებისა, სადაც უნდა იყოს და ვისგან უნდა შესდგებოდეს,—გამოცხადებულ იქნეს საქ. ს. ს. რესპუბლიკის საკუთრებად.

3. პითველსავე მუხლში აღნიშნულ ლიტო-ტიპოგრაფიის მუშა-მოსამსახურენი დატოვებულნი არიან თავთავიანთ ადგილს და ჩაირიცხებიან „სახელმწიფო სამსახურში.

4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს ს. ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე

ფ. მახარაძე.

რევკომის მდივანი შ. ელიავა

1921 წ. მარტის 30.

ქ. ტფილისი, სასახლე.

## ბრძანება

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

დამატებად საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის ბრძანებისა № 15, ამხ. ვაშაძე, ევგენი იოსების ძე. დანიშნულია საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მიწათმოქმედების კომისარიატის კოლეგიის წევრად.

ამხ. ვანიძეს წინადადება ეძლევა შეუდგეს თავისი მოვალეობის აღსრულებას დღევანდელი რიცხვიდან.

კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე

რევკომის მდივანი შ. ელიავა

1921 წ. მარტის 30

ქ. ტფილისი-სასახლე.

## ზაქათალას მხარეს

ისტორიული მიმოხილვა.

ქართულათ ნათქვამია:—„აქლემი დაკარგა, ვირი მივიდა და წიხლი ჩაარტყა და თან უთხრა ნიშნის იოგებით, რომ შა მოგერიე თუ არაო?

სწორეთ ასევე მოგვივიდა ჩვენ ქართველებს 1614 წლიდამ, იმ დროს ჩვენს ქვეყანას შაჰ-აბაზი დაეცა და საქართველო აიკლო, ქართველთ ერი უძლურ ჰყო, ამ დროს, ჩვენის დამხობით ისარგებლეს ჩვენ მეზობელ მტრებმა და მათაც წიხლი ჩაგვარტყეს ჩვენ. ოსებმა დაგვიწყეს დავა, რომ ცხინვალის ოსეთიაო, სომხებმა დაგვიწყეს ბრძოლა, რომ ტფილისი სომხეთის ქალაქიაო და აზერბეიჯანის თათრებმა დაგვიწყეს დავა, ზაქათალა ჩვენიაო.

რაკი ჩვენმა მტრებმა ასე გაადეს ყბა და სური ჩვენი შექმნა, ამიტომ ვალად ვსთვლით, რომ მათ პასუხი მივსცეთ და ისტორიულათ ვამცნოთ ბევრი რამ ისტორიული პირობები და იმ გარემოების ახსნაც, რომ იგინი უბრალოთ ებღაუჭებიან საქართველოს ადგილებს და დიდათ სცდებიან მასზედ, რომ მათ სურთ საქართველოს დაქუცმაცება. ამ ჟამათ ჩვენ შევჩერდებით ზაქათალის თემის ანუხსვაზედ და იმედია, რომ გონიერი მკითხველი ცხადათ დარწმუნდება ჩვენის გეზის სიმართლეზედ.

ამ წერილის მასალებით ვხმარობთ ვახუშტი ბატონიშვილის ნაწერებს, ქართლის ცხოვრების, დავით რექტორის ნაწერებს, მღ. დიმტრი ჯანაშვილის ნაწერებს და სხვათაცა, რომელთაცკი ოდესმე უწერიათ რამე ამ კუთხის შესახებ.

ზაქათალის თემი რომ ქართველ ძველის ძველი საკუთრება არის, ამას დაასაბუთებენ შემდეგი ისტორიული ცნობები, რაც დასაბუთებულია სხვა და სხვა ისტორიულის ცნობებით, ეს დასაბუთება საეჭვო ჰიპოტეზათ არავის ეგონოს,

6000 წელია მას შემდეგ გასული, რაც ზაქათალის თემი ქართველი ერის საკუთრებათ იყო ცნობილი. ამ დასაბუთების პირობები და ცნობები აი როგორი გახლავსთ.

ქართველი ტომის მოსვლა საქართველოში ეგვიპტიდამ მომხდარა, ეს მოსვლა 6000 წელზედ წინეთ ყოფილა. ქართველთ მოსვლა რამდენ გზისმე ყოფილა, ერთი ჯგუფი მოსულა სულ პირველათ, ესენი დასახლებულან აწინდელს არარატის მთის მახლობლივ, ამის შემდეგ მოსულა მეორე ჯგუფი, ამ მეორე ჯგუფს გამოუვლია არარატი, წარსულან აქეთ, შემოსულან ზაქათალის თემში და დასახლებულან, იქ.

ამ დასახლებულია ერთი ნაწილი წამოსულა კახეთში, ესენი მოჰფენიან მთელს კახეთს და დასახლებულან აქაიქ. ამიტომაც ამ ეგვიპტელ ქართველებს აქაურის ადგილ მდებარეობისათვისაც სულ ეგვიპტური სახელები უწოდებიათ, მაგალითებრ კახეთი ეგვიპტური სახელია, ასევე მდინარე ალაზანიც ეგვიპტურია და იორიც. ისტორიკოსის ნიკ. გამრეკელის სიტყვით თვით ბოდბეც კი ეგვიპტური სახელია და ზაქათალის თემის ახლოს ქ. ნუხაც კი ეგვიპტური ქართველი სახელია, ნუხა არის ეგვიპტურ ქართველთა მცენარის სახელი და თვით ამ ზაქათალის თემსაც ეგვიპტურ ქართველებისაგან სახელათ კამბეჩოვანი სწოდებია.

ამ თემში ისეთი მაღალი და მცენარეები სცოდნია, სადაც თურმე დიდათ მრავლდებოდა კამბეჩები. თვით ზაქათალასაც მაშინ ისტორიკოსის დიმ. ჯანაშვილის სიტყვით ფიფინეთი სწოდებია და არა ზაქათალა, ეს სახელი ჩვენს დროში გახლავსთ დარქმეული. ვიტყვით, რომ ამ სახელწოდების გარდა თვით ქიზიყის სოფლების უმეტესი ნაწილის სახელებიც სულ ეგვიპტის ქართველი სახელებია თურმე.

ამის მაგალითია შემდეგ სოფლების სახელები, რაც ეგვიპტურ ქართული სახელებია თურმე, მაგალითებრ: სოფლების სახელები: ტიბაანი, ოზაანი, მატიანი, მელაანი, თვით ქართველი მამაკაცია სახელებიცკი თურმე ეგვიპტურ ქართველი სახელებია, მაგალითები: ბუხურა, ოქრურა და ბევრიც სხვა სახელები კაცთა, ქალთა, სხვა და სხვა ნივთებთა და ქალაქებთა.

ასე და ამ გვარათ, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ აწინდელს ზაქათალის თემში და თვით ქალაქ ნუხს და ამის ახლომახლო მდებარე სოფლებსა და ქალაქებს რაც სახლები ეწოდება, ყველა ეს სახელები არის ეგვიპტურ ქართული სახელები და არა თათრული, არავინ იფიქროს, რომ ნუხა და არის თემის სოფლის სახელები ქართული არ გახლდეს, ყველა იგინი სულ ქართული სახელებია და ისიც დასაბუთებულია, რომ მთელს ამ კუთხეშიაც სულ ქართველი ესახლა და სცხოვრებდა.

ამიტომ უნდა ვიცოდეთ, რომ ნუხა, ზაქათალა და ამ თემთა ადგილებიც საქართველოს მიწა წყლის ისეთ საკუთრებას შეადგენს, როგორც კახეთის, ბოდბის ხევის, ქართლის, იმერეთის და სხვათაც ასეთ საქართველოს კუთხეების, ამ გარემოებას ასაბუთებს ის პირობებიც, რომ ოდესაც საქართველოში ქრისტიანობა შემოიტანეს და გაავრცელეს, მაშინ ამ ქრისტიანობის გავრცელების პირობებს არც ეს კუთხეები გამოსჩენენ და ქართველი განმანათლებელ ქრისტიანობის მქადაგებლებმა აქაც იქადაგეს ქრისტეს სარწმუნოება და აქ ეს სარწმუნოება გაავრცელეს კიდეც, რასაც ასაბუთებს თვით ისტორიული ცნობებიც.

ზაქათალის თემს, ქართლის ისტორიულს წიგნებში ეწოდება „ჰერეთი“. ესევე სახელი არის კახეთისაც, ჰერეთი განიყოფა ოთხ ნაწილად, მეოთხე ნაწილი არის ეს ზაქათალის თემი, ანუ „ჰერეთი“.

ჰერეთის მეოთხე ნაწილს შეადგენდა ნუხაც, სადაც ძველადგან სულ ქართველი ტომი ესახლა, ამ თემსა და ქართველს ერში ქრისტეს სარწმუნოების გავრცელება დაწყობილ იქმნა იმ დროდან, როცა საქართველოში ანდრია მოციქული მოვიდა. ამის შემდეგ აქევე იქადაგა წ. ნინომ და ქრისტეს სარწმუნოება გაავრცელა, როგორც ზაქათალის თემში, ისევე ნუხსა და მთელს დაღისტნის ლეკებშიც; ლეკები ქრისტიანობას აღიარებდნენ IX-11 საუკუნემდის.

ფარნაოზ მეფის დროს, ზაქათალის თემი შეადგენდა ერთს საერისთავოს; ეს კუთხე იქამდის ძლიერი იყო ქართველის ერის წყობილებით, რომ მირიან მეფემ ამ თემის გამგებლად დანიშნა თავის შვილი რევი. შემდეგ დროს, ამავე თემის გამგე იყო ვახტანგ გორგასლანის შვილი დაჩი; შემდეგ მოხდა ისიც, რომ მთელი ეს თემი დაჩის საუფლისწულოდ იქმნა შერიცხული და ნამეტური ქალაქები ჰერეთი, ხეკრესი, კამბეჩი და სხვანიც. ამათ შემდეგ ამავე კუთხეში უცხოვრია არჩილ მეფესაც; ამის შემდეგ ზაქათალის თემში სხვა და სხვა ქართველთ მეფეებსაც უცხოვრიათ.

ყველა ეს ცნობები მოწმობენ, რომ ეს კუთხე ძველის ძველთაგანვე იყო ქართველთა საკუთრება და იგი არასდროს არ კუთნებიათ აზერბეიჯანელებს, ან სხვა ვინმე თათრებს და სომხებს; ეს რომ ცხადი არის და მართალი ამას დაამტკიცებს შემდეგ სოფლებთა სახელები, რომელი სოფლებიც ამ თემში გახლავთ დაშთენილები, აი ესეც ამ ქართული სოფლის სახელები:

სოფ. ჰარი, 2000 კომლი მცხოვრები. თალა 6303 კომლი მცხოვრებით, წინათ უბანი, ფიფინეთი დღეს ზაქათალად წოდებული. კაკი, ბელაქანი, დოდის ეკლესიით, მაქი, მაწეხი, ბაზარი, ალიაბათი, ფერძიანი, მუხათი, ლაგოდეხი, ჭაწეხი, კატეხი, ქურმუხი, გიშელი, უაშა და ქალაქი, წახური, გიში, შაკიხი, სხვა სოფლებს ჩვენ არ ვახსენებთ, ესეც კმარა.

ვიტყვით იმასაც, რომ ყველა სოფელში არის ერთი და ორი ხაშთი ძველის ეკლესიებისა, ასეთს სოფლებსა და ეკლესიებს გარდა კაცი სხვა და სხვა ტყეებშიც შეხვდება ნასოფლარებს და ზოგს ალაგას დიდს ეკლესიის ნაშთნანგრევს და ზოგს ალაგას მთელს ვრცელს გუმბათიან ეკლესიებსაც, რაიც ცხადათ მოწმობს, რომ ამ კუთხეში ძველთაგანვე მრავლად ყოფილა ნაშენები ძველი უზარ-მაზარი გუმბათიანი ეკლესიები, რის ხიშნები დღესაც ბევრია ამ თემში.

საჭიროდ ვსთვლით მოვიხსენოთ ისიც, თუ ამ კუთხეს როგორ და რის გამო დაერქვა ზაქათალა და ამის თემი. ისტორიკოსის დიმ. ჯანაშვილის სიტყვით ზაქათალას ძველად ფიფიეთი ერქვა თურმე. აქ იყო კარგი დიდრონი ეკლესიები, ამ ფიფინეთის და მთელი ამ თემის ქართული ეკლესიების ამშენების გამგეც ეს მნათე ყოფილა, რომელსაც სახელად ზაქარია ერქვა.

რუსები რომ შემოსულან ამ კუთხეში მაშინ მათ უკითხავთ, რომ ფიფინეთის ეკლესიის გამგენი ვინ არიანო? მცხოვრებთ მიუგიათ, რომ ზაქარია მნათეო. ამ სიტყვიდამ გადაკეთებულა ფიფინეთის მაგიერ სახელი ზაქათალა, რაც აზერბეიჯანის თათრებს ჰგონიათ, რომ იგი ვითომც თათრული სახელი გახლავთ. ამიტომაც აზერბეიჯანის თათრები ამ კუთხეს თავიანთ საკუთრებად სთვლიან, ეს კი არ არის სწორე და მართალი, ამ სიცრუის გავრცელებას დაუმარა შემდეგი ისტორიული გარემოება, რაც საჭირო გახლავთ მოვიყვანოთ აქ,—რომ ამით აზერბეიჯანელებს ეწყოთ სამუდამოდ, რომ ზაქათალის თემი არც სათათრეთია, არც მათი საკუთრება გახლავთ და არც ზაქათალა არის თათრული სახელი. ამ თემში თათრების რიცხვი ჩამოსახლებულ იქმნა მე-17 საუკუნის დამდეგიდან, როცა შაჰ-აბაზი შემოესია საქართველოს; ამ კუთხიდან წყეულმა და შერცხვენებულმა შაჰ-აბაზმა ასი ათასი სული ქართველი სპარსეთში გადაასახლა და იმათ მაგიერ, იმათ საცხოვრებელს სოფლებში თათრები ჩამოასახლა.

მინამ კი ამ კუთხეში და არც მთრჩალოს მაზრაში თათრის და სომხების ხსენება სულ არ ყოფილა, თათრები ზაქათალის თემში გაჩნდნენ მე-17 საუკუნის დამდეგიდამ. ასე და ამგვარად ერთხელ კიდევ ვაცხადებთ, რომ ზაქათალის თემი არის საქართველოს საკუთრება და არა სათათრეთი.

ზ. ჰ.

## ბათომში

შრომის განყოფილების და სოციალური უზრუნველყოფის გამგის კ. ხოშერიას ბრძანებით ბათომის საოლქო მომრიგებელი კამერა უქმდება: ყველა საქმეები, რომელიც დარჩა განუხილავი გადაეცემა დროებითი განსაკუთრებულ ტრიბუნალს ან და შრომის კომისარიატს: გაუქმებულ კამერის მოსამსახურეთა სალიკვიდაციოთი დასაკმაყოფილებლათ წარმოებათა მეპატრონეებს წინადადება მიეცა დაუყონებლივ შემოიტანონ სათანადო თანხა. რევკომმა მილიციის კომისარს მისწერა გამოიძიოს გატაცებულ ქონებათა საქმეები. რომლებიც ეკუთვნოდა სადელჩოების და საბჭოთა აზერბეიჯანის რესპუბლიკის სავაჭრო განყოფილებას ბათუმში. რომელიც დარჩა განყოფილების თანამშრომლის დატუსაღების შემდეგ 16 თებერვალს ა—წ.

რევკომის განკარგულებით ადგილობრივი მცხოვრებნი, რომლებსაც სურთ წასვლა მახლობელ სოფლებში, გაშვებული იქნებიან დაუბრკოლებლივ. კომუნ. პარტიის მუშაკების კომიტეტის დადგენილებით ეძლევა საცხოვრებლათ ყოფილი სასტუმრო „საფრანგეთი“. მუსულმანი კომუნისტები აპირებენ გამოსცენ ბეჭდითი ორგანო ოსმალურ ენაზე.

ვინაიდგან ის ვრცელი პოლიტიკური წიგნსაცავი, რომელიც ეკუთვნოდა ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირს და მენშევიკებისაგან დარბევის დროს დაიკარგა. ძიებულ იქმნას სასწრაფო ზომები გადარჩენილ წიგნების მოსაძებნათ და ახალ ბიოგრაფიების შესაძენათ. იმ მეზღვაურებთაგან, რომლებიც დარჩნენ მენშევიკების მთავრობის ევაკუაციის დროს და არ წავიდენ საბჭოთა რუსეთში, შესდგა არტელი 60 კაცისაგან, რომელიც იმყოფება ნავთსადგურის კომენდანტის სრულ განკარგულებაში და დარაჯობენ აქაური ნავთსადგურის საწყობებს...

გადმოსახლებულ მეომრებთაგან ბათუმში დარჩა მხოლოთ 50 კაცი 16 ავადმყოფი, 11 მათგანი სახადით. არტაანის ოლქიდან მოელიან გამოქცეულებს რიცხვით 200 კაცს. რომლებიც გზაში გაძარცვავთ. საიერმნეთის მზრუნველობის მისიამ ბათუმიდან წასვლის დროს გადასცა სომხეთის ეროვნულ საბჭოს 300,000 მ. და საკმაო რაოდენობა სურსათისა. ეროვნულმა საბჭომ იკისრა მზრუნველობა მხოლოდ ავადმყოფების, ქალების, ბავშვების და ისეთების. რომელთაც არ აქვთ არავითარი სახსარი ცხოვრების.

რედაქტორი თედო ღლონტი.

გამოცემა დრ. მთავარი კომიტეტისა.

**დაჰკარგა** პასპორტი მილიციიდან მოცემული თავისუფლებას თეთრი ბილეთი სამხედრო უფროსიდან მოცემული ივან ალექსის ძე დამბაშიძე გთხოვთ გაუქმებულად ჩასთვალოთ. 701

**დაჰკარგე** შალვა კაკოშვილმა პასპორტი ქარელიდან მოცემული რეგისტრაციის ქაღალდი ფაბრიკის ნებართვა გთხოვთ ჩასთვალოთ გაუქმებულად. 695